ოქმი N12

ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მეხუთე მოწვევის სხდომისა

ქ. ხობი 2023 წლის 30 ნოემბერი

საკრებულოს წევრთა კანონით დადგენილი რაოდენობა - 36

საკრებულოს უფლებამოსილ წევრთა რაოდენობა - 36

რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 29 წევრმა (რეგისტრაციის ფურცელი ოქმს თან ერთვის)

საკრებულოს სხდომაზე დამსწრე წევრთა რაოდენობა - 29 (დამსწრეთა სია ოქმს თან ერთვის)

საკრებულოს სხდომაზე დამსწრე საზოგადოების წარმომადგენელთა სია ოქმს თან ერთვის

საკრებულოს სხდომას თავმჯდომარეობდა ლევან ქავთარაძე - საკრებულოს თავმჯდომარე

დღის წესრიგი:

1. „ხობის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს 2024-2025 წლების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ“ განკარგულების პროექტის განხილვა;

(მომხსენებელი: ლ. ქავთარაძე - ხობის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარე);

თანამომხსენებელი: თ. სიჭინავა - ხობის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის

საბჭოს მდივანი);

2. „ხობის მუნიციპალიტეტის მერისთვის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ძირითადი (განუსხვისებელი) ქონების სარგებლობის უფლებით, უზუფრუქტის ფორმით, უსასყიდლოდ გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ" განკარგულების პროექტის განხილვა;

(მომხსენებელი: დ. ბუკია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;

თანამომხსენებელი: ა. ვარდია - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური

განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსი);

3. ,,ხობის მუნიციპალიტეტის მერისთვის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების სარგებლობის უფლებით (თხოვების ფორმით), პირდაპირი განკარგვის წესით გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ" განკარგულების პროექტის განხილვა;

(მომხსენებელი: დ. ბუკია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;

თანამომხსენებელი: ა. ვარდია - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური

განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსი);

4. „ხობის მუნიციპალიტეტის პირველი მაისის ადმინისტრაციულ ერთეულში წყალმომარაგების პრობლემის შესახებ“ პეტიციის წესით წარმოდგენილი საკითხის შესწავლა, განხილვა და გადაწყვეტის თაობაზე“;

(მომხსენებელი: ბ. მამაცაშვილი - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ინფრასტრუქტურისა და სივრცით - ტერიტორიული დაგეგმარების კომისიის თავმჯდომარე);

5. საკრებულოს წევრის მ. იოსავას მოხსენება.

კენჭი ეყარა დღის წესრიგის წარმოდგენილ ვარიანტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 28 წევრი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 28, წინააღმდეგი – 0,

(კენჭისყრას არ ესწრებოდა: მ. ლემონჯარია)

დაადგინეს: დღის წესრიგი დამტკიცდეს წარმოდგენილი სახით

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვა

1. „ხობის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს 2024-2026 წლების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ“ განკარგულების პროექტის განხილვა

(მომხსენებელი: ლ. ქავთარაძე - ხობის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარე);

თანამომხსენებელი: თ. სიჭინავა - ხობის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს მდივანი)

მოისმინეს: თ. სიჭინავა - მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს 2024-2026 წლების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ“

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით, მაგრამ საკრებულოს წევრების მხრიდან განსხვავებული მოსაზრება არ გამოთქმულა, რის შემდგომაც სთხოვა საკრებულოს იურიდიულ, სამანდატო-საპროცედურო და ეთიკის კომისიის თავმჯდომარეს (მ. თათარიშვილი) წარმოედგინა დასკვნა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით.

მ. თათარიშვილი - გამომსვლელმა საკრებულოს წევრებს გააცნო საერთო დასკვნა წარმოდგენილ საკითხთან და დღის წესრიგით წარმოდგენილ იდენტურ მე-3 საკითხთან

დაკავშირებით (ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ ხობის მუნიციპალიტეტის გენდერული საბჭოს სხდომა გაიმართა 2023 წლის 10 ნოემბერს, სადაც განხილულ იქნა ხობის მუნიციპალიტეტის გენდერული საბჭოს 2023-2024 წლების სამოქმედო გეგმა, რომლის პროექტიც მომზადდა კულტურულ-ჰუმანიტარული ფონდ „სოხუმის" მხარდაჭერით. წარმოდგენილ განკარგულების პროექტში გაწერილია კანონით გათვალისწინებული ის აუცილებელი ღონისძიებები, რომლებიც უნდა გატარდეს მუნიციპალიტეტის მხრიდან გენდერულ ჭრილში, გეგმით დადგენილ პერიოდში. გამომსვლელის განცხადებით, ხობის მუნიციპალიტეტის გენდერული საბჭოს მიერ წარმოდგენილი განკარგულების პროექტი მომზადებულია კანონის მოთხოვნათა გათვალისწინებით და კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია წარმოდგენილი სახით მისი დამტკიცება საკრებულოს სხდომაზე.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ განკარგულების პროექტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 29 წევრი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 29, წინააღმდეგი – 0,

გადაწყვეტილება მიღებულია

(განკარგულება N36 ოქმს თან ერთვის)

2. „ხობის მუნიციპალიტეტის მერისთვის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ძირითადი (განუსხვისებელი) ქონების სარგებლობის უფლებით, უზუფრუქტის ფორმით, უსასყიდლოდ გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ" განკარგულების პროექტის განხილვა

(მომხსენებელი: დ. ბუკია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;
თანამომხსენებელი: ა. ვარდია - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსი)

მოისმინეს: ა. ვარდია - მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის მერისთვის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ძირითადი (განუსხვისებელი) ქონების სარგებლობის უფლებით, უზუფრუქტის ფორმით, უსასყიდლოდ გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ" და განაცხადა, რომ ითხოვენ მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ძირითადი ქონების გადაცემას უზუფრუქტის ფორმით, ორი წლის ვადით, მთავრობის დადგენილების შესაბამისად, სოფლის ამბულატორიების ქსელის ინფრასტრუქტურული მდგომარეობის მოწესრიგების მიზნით.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით.

აზრი გამოთქვეს: დ. გაბუნია - გამომსვლელი დაინტერესდა, თუ რა ბედი ეწეოდა 2 წლის გასვლის შემდგომ აღნიშნულ შენობას?

ა. ვარდია - გამომსვლელმა განმარტა, რომ ორი წლის გასვლის შემდგომ მუნიციპალიტეტს დაუბრუნდებოდა რეაბილიტებული ამბულატორია.

კითხვა-პასუხის დასრულების შემდგომ სხდომის თავმჯდომარემ, სთხოვა საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარეს (ვ. ქანთარია) წარმოედგინა დასკვნა წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით.

ვ. **ქანთარია** - გამომსვლელმა საკრებულოს წევრებს გააცნო დასკვნა წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით (ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ მუნიციპალიტეტის მერიის განმარტებით, მუნიციპალიტეტის მერიაში მიმდინარე წლის 26 ოქტომბერს შევიდა ა(ა)იპ „საქართველოს სამედიცინო ჰოლდინგის“ ხელმძღვანელის წერილი, რომლითაც საქართველოს მთავრობის 2022 წლის 12 იანვრის N4 დადგენილების თანახმად, ითხოვენ მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ძირითადი ქონების გადაცემას უზუფრუქტის ფორმით, ორი წლის ვადით, მთავრობის დადგენილების შესაბამისად, სოფლის ამბულატორიების ქსელის ინფრასტრუქტურული მდგომარეობის მოწესრიგების მიზნით. ზემო აღნიშნულის გათვალისწინებით, მერიის მიერ მომზადდა განკარგულების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის მერისთვის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ძირითადი (განუსხვისებელი) ქონების სარგებლობის უფლებით, უზუფრუქტის ფორმით, უსასყიდლოდ გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ“. გამომსვლელის განცხადებით, წარმოდგენილი განკარგულების პროექტი შინაარსობრივად დაკორექტირებულ იქნა, რომელიც მომზადდება ხელმოსაწერად, სხვა მხრივ პროექტი აკმაყოფილებს საქართველოში მოქმედ კანონმდებლობას და კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია მისი წარმოდგენილი სახით დამტკიცება საკრებულოს სხდომაზე.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ განკარგულების პროექტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 29 წევრი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 29, წინააღმდეგი – 0

გადაწყვეტილება მიღებულია

(განკარგულება N37 ოქმს თან ერთვის)

3. „ხობის მუნიციპალიტეტის მერისთვის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების სარგებლობის უფლებით (თხოვების ფორმით), პირდაპირი განკარგვის წესით გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ'' განკარგულების პროექტის განხილვა

(მომხსენებელი: დ. ბუკია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;

თანამომხსენებელი: ა. ვარდია - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსი)

მოისმინეს: ა. ვარდია - მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი ,,ხობის მუნიციპალიტეტის მერისთვის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების სარგებლობის უფლებით (თხოვების ფორმით), პირდაპირი განკარგვის წესით გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ''

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით, მაგრამ საკრებულოს წევრების მხრიდან განსხვავებული მოსაზრება არ გამოთქმულა, რის შემდგომაც სთხოვა საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარეს (ვ. ქანთარია) წარმოედგინა დასკვნა წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით.

ვ. ქანთარია - გამომსვლელმა საკრებულოს წევრებს გააცნო დასკვნა წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით (ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ მუნიციპალიტეტის მერიის განმარტებით, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული სპეციალური დანიშნულების, ასენიზაციის ავტომანქანა, (CLW მარკის, გამოშვებული 2023 წელს, 109622 ლარის ღირებულების), მიზანშეწონილად მიაჩნიათ, სარგებლობის უფლებით, (თხოვების ფორმით) არსებობის ვადით, უსასყიდლოდ გადაეცეს შპს „ხობის მუნიციპალიტეტის წყალმომარაგებას". გამომსვლელის განცხადებით, წარმოდგენილი განკარგულების პროექტი აკმაყოფილებს საქართველოში მოქმედ კანონმდებლობას და კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია მისი წარმოდგენილი სახით დამტკიცება საკრებულოს სხდომაზე.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ განკარგულების პროექტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 29 წევრი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 29, წინააღმდეგი – 0

გადაწყვეტილება მიღებულია

(განკარგულება N38 ოქმს თან ერთვის)

4. ხობის მუნიციპალიტეტის პირველი მაისის ადმინისტრაციულ ერთეულში წყალმომარაგების პრობლემის შესახებ პეტიციის წესით წარმოდგენილი საკითხის შესწავლა, განხილვა და გადაწყვეტის თაობაზე

(მომხსენებელი: ბ. მამაცაშვილი - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ინფრასტრუქტურისა და სივრცით - ტერიტორიული დაგეგმარების კომისიის თავმჯდომარე)

მოისმინეს: ბ. მამაცაშვილი - მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო პეტიციის წესით შემოსული განცხადება ხობის მუნიციპალიტეტის პირველი მაისის ადმინისტრაციულ ერთეულში წყალმომარაგების პრობლემის შესახებ და განაცხადა, რომ საკრებულოში შემოვიდა განცხადება პეტიციის წესით, რომლის წარმდგენი სუბიექტი გახლავთ საკრებულოს წევრი მალხაზი იოსავა, განცხადებას საქართველოს კანონმდებლობის თანახმად ხელს აწერს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები 300 მოქალაქე. საკრებულოს აპარატში შერჩევითი წესის საფუძველზე გადამოწმებულ იქნა ხელმოწერების ნამდვილობა, რის შემდეგაც განცხადების ავტორზე გაცემულ იქნა პეტიციის რეგისტრაციის მოწმობა. კომისიის მიერ განხილულ იქნა განცხადებაში დასმული საკითხი, რომელიც შეეხება ხობის მუნიციპალიტეტის პირველი მაისის ადმინისტრაციულ ერთეულში წყალმომარაგების სისტემის პროექტირებისთვის საჭირო თანხების ბიუჯეტში მობილიზებას. განცხადებაში ნათქვამია, რომ პირველი მაისის ადმინისტრაციულ ერთეულში მცხოვრები მოსახლეობა წყალმომარაგების უქონლობის გამო იმყოფება გაუსაძლის მდგომარეობაში, განსაკუთრებით ზაფხულის პერიოდში, ფაქტიურად ჭები შრება და მოსახლეობას პრობლემა აქვს, როგორც სასმელი, ასევე საყოფაცხოვრებო წყლით უზრუნველყოფის თვალსაზრისით. აღნიშნული საკითხის გადაწყვეტის მიზნით შემოსული პეტიცია განხილულ იქნა კომისიის მხრიდან და მიზანშეწონილად მიგვაჩნია მოსახლეობის ინტერესების გათვალისწინებით, არსებული პრობლემის გადაწყვეტის მიზნით საკითხი განხილულ იქნეს საკრებულოს სხდომაზე და დაევალოს მუნიციპალიტეტის მერიას პირველი მაისის ადმინისტრაციულ ერთეულში წყალმომარაგების სისტემის საკითხის გადაწყვეტა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით.

აზრი გამოთქვეს: ი. ჯიშკარიანი - გამომსვლელმა განაცხადა, რომ შეიძლება დღის წარმოდგენილ საკითხს არ ეხებოდეს, მაგრამ აინტერესებს პარკის მშენებლობის დასრულდება როდისთვის იგეგმებოდა და დასრულდებოდა თუ არა საერთოდ. ასევე

დაინტერესდა პარკის მშენებლობის დროს, გამარჯვებულ კომპანიას ჰქონდა თუ არა ხეების მოჭრის უფლება?

ა. ვარდია - განმარტა, რომ რაც შეეხებოდა ხეების მოჭრას, სულ მოიჭრა 20 ხე მთელს სარეაბილოტაციო პარკის ტერიტორიაზე, რომლებიც გამხმარი იყო, რაზეც არსებობს შესაბამისი დასურათება და ოქმები მერიაში არსებული კომისიის მიერ.

რ. ზაქარაია - გამომსვლელმა განმარტა, რომ პარკის რეაბილიტაციაზე პასუხისმგებელი კომპანია აღმოჩნდა არაკეთილსინდისიერი, რომელმაც ვერ შეასრულა მასზე დაკისრებული მოვალეობა რომელსაც შეუწყდა ხელშეკრულება. მომავალ წელს თავიდან გამოცხადდება ტენდერი და იმედი გამოთქვა, რომ ამ ეტაპისთვის გაიმარჯვებდა ისეთი კომპანია, რომელიც დროულად და ხარისხიანად დაასრულებდა პარკის მშენებლობას.

დებატების დასრულების შემდგომ სხდომის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ კენჭი უნდა უყარონ საკითხის შესწავლის მიზნით მუნიციპალიტეტის მერიაში პეტიციის გადაგზავნას

კენჭი ეყარა წარმოდგენილ წინადადებას მერიაში პეტიციის გადაგზავნის თაობაზე

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 29 წევრი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 28, წინააღმდეგი – 0

(კენჭისყრას არ ესწრებოდა: ქ. კვირიკაშვილი)

დაადგინეს: წარმოდგენილი პეტიცია გადაიგზავნოს ხობის მუნიციპალიტეტის მერიაში შემდგომი რეაგირებისთვის.

5. საკრებულოს წევრის მ. იოსავას მოხსენება.

მოისმინეს: მ. იოსავა - გამომსვლელი მიესალმა საკრებულოს წევრებს და დამსწრე საზოგადოებას და განაცხადა: „ბატონო თავმჯდომარე, რამდენჯერ მოგმართეთ საკრებულოს სხდომების სოციალური ქსელით ლაივ-ტრანსლირებისა და ხობის მუნიციპალიტეტის საშუალოვადიანი განვითარების დოკუმენტით გათვალისწინებული პრიორიტეტების შესრულების მიზნით რეკომენდაციების მომზადებაზე, მაგრამ ჩემი არც ერთი წინადადება შეგნებულად არ შეასრულეთ და არც ერთი ინიციატივა შეგნებულად არ გაითვალისწინეთ. კერძოდ, არ გაითვალისწინეთ ჩემი წინადადება და უარი მითხარით სამუშაო ჯგუფის შექმნაზე. შემდეგ არასრულფასოვნად უზრუნველყავით საშულოვადიანი განვითარების დოკუმენტით გათვალისწინებული საკითხების განხილვა გაერთიანებული კომისიის სხდომაზე. სამწუხაროა, რომ მუნიციპალიტეტის საკრებულომ ვერ უზრუნველყო საკუთარი უფლებამოსილების განხორციელება და ვერ მოამზადა მუნიციპალიტეტის განვითარებისთვის საჭირო რეკომენდაციები. 8 აგვისტოს

წერილობით მივმართე მუნიციპალიტეტის მერიას, მაგრამ ჩემს წერილზე პასუხი დღემდე არ მიმიღია, რაც რეგლამენტისა და არსებული კანონმდებლობის დარღვევას წარმოადგენს. არ ვაპირებ აღნიშნულ კანონდარღვევაზე სიტუაციის დრამატიზირებას, მაგრამ კიდევ ერთხელ გეტყვით „მწარე სიმართლეს", რომ როდესაც საკრებულოს წევრს უჭირს მუნიციპალიტეტის მერიისგან განცხადებაზე პასუხის მიღება, მაშინ წარმომიდგენია უბრალო მოქალაქე რა დღეში იქნება არსებულ პრობლემის მოგვარებაზე განცხადებაზე პასუხის მოლოდინში, თქვენი საქმისადმი უპასუხისმგებლო დამოკიდებულების პირობებში. მე პირადად როგორც საკრებულოს წევრს დიდი სურვილი მაქვს, რომ ყველამ ერთად მინიმალური დანახარჯებით შევძლოთ მუნიციპალიტეტისთვის მაქსიმალური ეფექტის მომცემი აქტივობების განხორციელება. არ ვიცი რატომ ხართ ასეთი ინერტულები, საკუთარი უფლებამოსილების განხორციელებას და სუბიექტური აზრის დაფიქსერებასაც რომ ვერ ახერხებთ, როცა საქმე ეხება ჩვენს მუნიციპალიტეტში არსებული მდგომარეობის გაუმჯობესებას და უკეთესი მომავლისთვის ზრუნვას. კერძოდ, მოვამზადე პეტიცია პირველი მაისის ადმინისტრაციული ერთეულის წყალმომარაგების უზრუნველყოფაზე. მიზანშეწონილად მიმაჩნია აღნიშნული პრობლემის დროულად მოგვარების მიზნით დახმარება ვთხოვოთ მაჟორიტარ დეპუტატს და ყველა იმ შესაძლო დაინტერესებულ პირებს, რომელთაც ხელი მიუწვდებათ ამ საკითხის გადაწყვეტაზე და მოსახლეობისთვის ასეთი მნიშვნელოვანი პრობლემის მოგვარებაზე. სამწუხაროდ დღეის მდგომარეობით მუნიციპალიტეტში არ გაგვაჩნია ტრანსპორტის რეგულირების წესი, რომლის მიღების აუცილებლობაზე წინა საკრებულოს სხდომებზე არა ერთხელ მისაუბრია და კარგია, რომ ეკონომიკის სამსახურს უკვე მოამზადებული აქვს ტრანსპორტის რეგულირებაზე დადგენილების პროექტი, რომელიც ნაწილობრივ კორექტერებას საჭიროებს. არ გაგვაჩნია პარკირების წესი და არაა დამტკიცებული პარკირების მოსაკრებელი. ქალაქ ხობში, ზვიად გამსახურდიას ქუჩის დასაწყისში მიზანშეწონილია უფუნქციო ბორდიურის დემონტაჟი და დამატებითი პარკირების ადგილების მოწყობა, რისთვისაც ადგილობრივი ბიუჯეტიდან საჭირო იქნება მაქსიმუმ 10 000 ლარის დახარჯვა. ქალაქ ხობში უნდა მოეწყოს (დაიხაზოს) საპარკინგე სივრცეები, სადაც დასაქმდება რამდენიმე ადამიანი და განიტვირთება საგზაო მოძრაობა. მიზანშეწონილი იქნება პარკირების წესიდან გამომდინარე პარკირების ოპერირება და მოსაკრებლის შეგროვება უზრუნველყოს შ.პ.ს. „ხობი დასუფთავება და განათებამ". მოსამზადებელია წინადადება ქალაქ ხობში, მუნიციპალურ საკუთებაში არსებული უნიკალურის სპორტული ინფრასტრუქტურის აღდგენა რეაბილიტაციის ჩასატარებლად. საფეხბურთო კლუბ ხობის კოლხეთის გულშემატკივართა და ქომაგთა კლუბმა მოამზადა წინადადების პროექტი ყველა სპორტული ინფრასტრუქტურის აღდგენა-რეაბილიტაციის განხორციელებაზე. მოსამზადებელია წინადადება ცალკე საცურაო სპორტ-კომპლექსის

აღდგენა-რეაბილიტაციის განსახორციელებლად. წინადადება უნდა იყოს სრულყოფილად დასაბუთებული, დანართების სახით უნდა მოიცავდეს ყველა საჭირო დოკუმენტაციას, ცნობებს და ფოტო მასალას. წინადადება განხილულ და მოწონებულ უნდა იქნეს საკრებულოს მიერ. ასევე მინდა ვისარგებლო შემთხვევით და გამარჯვეება მინდა ვუსურვო საფეხბურთო კლუბ „კოლხეთს“ 2 დეკემბერს ჩვენი კლუბისთვის გასამართ უმნიშვნელოოვანეს მატჩზე და ყველას მინდა მოგიწოდოთ აღნიშნულ მატჩზე დასწრებისკენ, რათა ერთად უქომაგოთ ჩვენს საყვარელ გუნდს. გასაუმჯობესებელია ნარჩენების მართვის კუთხით დღეს არსებული მდგომარეობა. ჯერ კიდევ არ გვაქვს დავალიანების პროგრამულად აღრიცხვის, აპარატით გადახდისა და სმს შეტყობინების სისტემები. მუნიციპალური ნარჩენების მართვის გეგმის შესაბამისად მომავალი წლიდან უნდა დაგვეწყო სეპარირებული და კომპოსტირებული ნარჩენების შეგროვება, რამაც გადაიწია მინიმუმ ერთი წლით. ნაწილობრივ გაუმჯობესდა მდგომარეობა ადმინისტრაციულ ერთეულებში ქუჩების სახელდებასთან დაკავშირებით. ათი ადმინისტრაციული ერთეულიდან ხუთ ადმინისტრაციულ ერთეულში დაიწყო ქუჩების სახედლების პროცედურები. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მაწანწალა ძაღლების სიმრავლის პრობლემის მოსაგვარებლად საჭიროა საკითხის სრულყოფილად შესწავლა და მდგომარეობის გასაუმჯობესებლად გადაწყვეტილების მიღება. მიზანშეწონილია არსებული ქარსაფარი ზოლების მუნიციპალურ საკუთრებაში გადმოცემაზე საკითხის დასმა, მათი ინვენტარიზაცია და ქარსაფარი ზოლის შენარჩუნებაზე ზრუნვა; დაუსრულებელი ინფრასტრუქტურული ობიექტების (ღვთისმშობლის მიძინების ტაძართან მისასვლელი გზა, პირველი მაისის ადმინისტრაციულ ერთეულში ჩხაიამდე მისასვლელი გზა, თორსა-დღვაბის ადმინისტრაციულ ერთეულში სოფელ დღვაბაში მისასვლელი გზა) დასრულებით მეტი სოციალურ-ეკონომიკური ეფექტის მიღება. მიზანშეწონილია აღნიშნული პროექტების 2024 წლის რეგიონალური პროექტების გეგმაში გათვალისწინება. სტიქიის პრევენციის, სანიაღვრე არხების ამოწმენდისა და ნაპირსამაგრების მოწყობაზე აუცილებელია მომავალი წლის სამოქმედო გეგმის მომზადება, სადაც გათვალისწინებული იქნება მოსახლეობის დატბორვისა და სტიქიის პრევენციის რისკები და მათი აღმოფხვრისთის საჭირო ღონისძიებები. მუნიციპალიტეტის მერიაში, საკრებულოში და მერიის მიერ დაფუძნებული კერძო სამართლის იურიდიული პირებში კადრების კვალიფიკაციის, საჯარო მოხელეთა რანგირების, სახელფასო განაკვეთის შესაძლო მატების და რიგი სხვა საკითხების შესწავლის მიზნით მიზანშწონილია სამუშაო ჯგუფის შექმნა. ქალაქ ხობში საკანალიზაციო სისტემის მოსაწყობად მომავალი წლიდან მიზანშეწონილად მიმაჩნია საპილოტე პროექტის დაწყება. ასევე წარმოდგენილი მქონდა მრავალი ინიციატივა, სხვა ქვეყნების საუკეთესო პრაქტიკის დანერგვიდან დაწყებული, ცენტრალური საავტომობილო გზის მიმდებარე ტერიტორიის

გაწმენდა-დასუფთავების ორგანიზებამდე დამთავრებული, რაც გამოიწვევს ჩვენი მუნიციპალიტეტის სწრაფ და ეფექტურ განვითარებას“ - განაცხადა მან.

აზრი გამოთქვეს: გ. ჩაბალუხა - გამომსვლელმა განაცხადა, რომ მ. იოსავამ არასწორი ინფორმაცია მიაწოდა საკრებულოს წევრებს, გამომდინარე იქიდან, რომ საკრებულოს წევრის მიერ მერიაში წარმოდგენილ ყველა განცხადებას, გაეცა შესაბამისი პასუხი ოფიციალურად. ასევე არაოფიციალურადაც არანაირი დაბრკოლება არ არსებობდა კომუნიკაციის მხრივ, დაინტერესების შემთხვევაში ზეპირსიტყვიერადაც გაეცემოდა პასუხი ამომწურავად.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების ამოწურვის შემდგომ საკრებულოს სხდომა დახურულად გამოცხადდა.

სხდომის თავმჯდომარე ლევან ქავთარაძე

მეხუთე მოწვევის საკრებულოს 2023 წლის 30 ნოემბერი სხდომაზე დამსწრე საკრებულოს

წევრთა სია

1. ლევან ქავთარაძე
2. ნუგზარი შუშანია
3. გოჩა ქაჯაია
4. დოდო გაბუნია
5. ბექა მამაცაშვილი
6. ვლადიმერ ქანთარია
7. მედეა თათარიშვილი
8. ლევანი ლიპარტია
9. ია ჯიშკარიანი
10. აკაკი მალანია
11. ქეთევან კვირიკაშვილი
12. აკაკი ხურცილავა
13. ბადრი რიჟამაძე
14. კობა გერგაია
15. გიორგი გვასალია
16. ბექა ხარბედია
17. მზია ლემონჯარია
18. გივი ლატარია
19. თამნარი ქირია
20. ვეფხვია ფოცხორაია
21. ფელიქს წურწუმია
22. ჯანსუღი ჯიშკარიანი
23. მალხაზი იოსავა
24. ირაკლი ზაქარაია
25. ნინო ბოკუჩავა
26. დიტო ხასია
27. ფრიდონ შონია
28. ფრიდონ კუკავა
29. სერგო ბერაია